

დასამზადებელი თუ დამამზადებელი მანქანა?

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ განაპირობა ახალი ცნებებისა და ტერმინების გაჩენა. ახალი ტერმინების შესაქმნელად ენა იყენებს ენაში უკვე არსებულ საშუალებებს. ძირითადად ესაა სიტყვათწარმოება (გარკვეული ფუნქციის მქონე აფიქსების მეშვეობით ერთი ფუძისგან ახალი ფუძის წარმოება) და კომპოზიცია (ორი ან მეტი ფუძის შეერთებით ახალი, რთული ფუძის მიღება). საქმე შეეხება იმას, თუ რამდენად თანმიმდევრულად ატარებს ენა ამას თუ იმ წესს. ჩვენ აქ განვიხილავთ ერთ კონკრეტულ შემთხვევას, კერძოდ, საკითხს იმის შესახებ, თუ ახალი მანქანა-იარაღების გაჩენასთან დაკავშირებით როგორ ხდება მათი სახელდება.

განსახილველ შემთხვევაში უწინარეს ყოვლისა თვალში საცემია **მა-** და **სა-** თავსართიანი წარმოებების პარალელური ხმარება:

ბურღომიმწოდი — ბურღოსაკრები

ბურღოამტყორცნი — ბურღოსაქრევი

ბომბდამშენი — ბომბსატყორცნი, ბომბსაყრელი

ტყვიამფრქვევი — მტვერსაფრქვევი, მტვერსასრუტი

ავიამზიდი, რაკეტამზიდი — თივასაზიდი მანქანა, ბომბსაზიდი

წამშომი — წამსაზომი

მანარისხებელი დოლი — საკონტროლო-სახარისხებელი

ავტომატი

მათანაბრებელი აუზი — სათანაბრებელი აგრეგატი

ამ გარემოებას განსაკუთრებით ხაზს უსვამს ისეთი კომპოზიტების გაჩენა, როგორიცაა: **საზეთ-მაცივებელი** სითხე, **საყელავ-გამომტანი** აგრეგატი...

როგორც ვხედავთ, ერთ შემთხვევაში გამოყენებულია მოქმედებითი გვარის მიმღობის ფორმები, მეორეში — მყოფადი დროის ვნებითი გვარის მიმღობები.

ჩნდება კითხვა: რამ გამოიწვია ამ მიმღობების პარალელური

ხმარება? ამ აფიქსებს თავიდანვე ხომ მკვეთრად განსაზღვრული ფუნქციები აქვთ: მა- თავსართიანი მიმღეობები გამოიყენება მოქმედი პირის აღსანიშნავად, სა- თავსართიანი კი მოქმედების საგნის აღსანიშნავად¹.

ჩვენ შევეცადეთ ტექნიკური ტერმინოლოგიის (უკანასკნელი გამოცემის), ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა და კვების მრეწველობის ტერმინოლოგიის მასალაზე გავვეანალიზებინა მა- და სა- თავსართიანი წარმოების გამოყენების შემთხვევები მანქანა-იარაღების ტერმინების შემუშავებისას.

როგორც მოსალოდნელი იყო, სა- თავსართიანი წარმოება გამოყენებულია:

1. საგნის დანიშნულების გამოსახატავად. გვაქვს:

აგრეგატი: საბურღი, საწვიმებელი...

ავტომატი: სახვევი, საყირაო...

აპარატი: საბეჭდი, სამრავლებელი, სანასკვი, საფრენი, საწვიმარი...

დოლი: საპრიალებელი...

2. მანქანა-იარაღების სახელწოდებებად: საბრუნებელი, საზვინულებელი, სამიწნებელი, სანიავებელ-სანარისხებელი, საშხეფარი...

პარალელურად გვხვდება -ა სუფიქსით გართულებული სახელებიც: საბრუნელა, სათესელა, სათიბელა..., რომლებიც ამ შემთხვევაში გასუბსტანტივებული არიან, უკეთ, -ა მაწარმოებლის დართვა გამოყენებულია მასუბსტანტივებელ საშუალებად.

გავრცელებულია კომპოზიტები, სადაც პირველ წევრად გამოყენებულია სათანადო ზმნის ობიექტი, მეორე წევრად კი გვაქვს სა-თავსართიანი მიმღეობა: აირსაცივარი, აირსაწმენდი, ბენზინსაზომი, ბელტსამსხვრევი, ბეტონსაზელი, ბეტონსარევი, ბეტონსატუმბი, ზვირთსაჭრელი, მარილსაწოვი, მორსათრევი, ქარსარიცხი, ქარსაჭერი, ჩალსაკონი, ცეცხლსაქრობი, ძნასაზიდი, წყალსარბილებელი, წყალსატუმბი, ჰაერსაბერი, ჰაერსატენიანებელი, ჰაერსახურებელი...

ჩვეულებრივია ასეთი კომპოზიტების გამოყენება ზედსართავებად. მაგალითად, გვაქვს: ბეტონჩასახსმელი, მილსაგლინავი, ნახშირამოსაღები... აგრეგატი; ეტიკეტმისაკვრელი, დანასაღესი, ქანჩსაჭრელი, ძაფსაძებნი... ავტომატი; ასოთსაბეჭდი, მატყლსაღებავი, ტა-

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 592; არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულებისათვის ქართველურ ენებში, 1940, გვ. 168.

როსატენი... აპარატი; ჰაერსაფილტრავი, ჰაერსაწმენდი... ბადე; მიწა-სათხრელი ბულდოზერი; კვამლსაწოვი ვენტილატორი; თივაასადები, თივასაგროვი, თივასაჭრელი... მანქანა; ავტოსარემონტო, არხსაშენი, ფოლადსადნობი... ქარხანა...

კომპოზიტის პირველ წევრად განსაზღვრებითი ნაცვალსახელი თვით ან მისი უცხოური ეკვივალენტი ავტო უპირატესად სასუბიექტო მიმღეობის ფორმებთანაა გავრცელებული, თუმცა, იშვიათად, საობიექტო მიმღეობის ფორმებთანაც გვხვდება როგორც სუბსტანტივის, ისე ატრიბუტივის ფუნქციით: თვითსარწყულებელი; თვითსაფანტავი, თვითსაცლელი (ავტომობილი)... ავტოსატვირთველი, ავტოსარწყულებელი, ავტობეტონსარევი...

მსაზღვრელ-საზღვრულის შერწყმის შედეგად მიღებული კომპოზიტებია: აეროსასხურებელი, ავიასაფრქვეველი, ელექტროსაბურღი, ელექტროსაპარსი, ელექტროსაწვიმარი...

მა- თავსართიანი მიმღეობის ფორმები, სა- თავსართიანი წარმოების მსგავსად, გამოყენებულია:

1. საგნის დანიშნულების გამოსახატავად:

აგენტი: გადამცემი, განმჟანგავი, დამამუშავებელი, მაკოროზიებელი, მაყოვნებელი, მაცივებელი...

აგრეგატი: ამგზნები, გამმართველი, გარდამქმნელი...

ავტომატი: დამცავი, ამომხსნელი, წამკითხავი, შემომგორი...

ანტენა: მაზონდირებელი, მიმღები...

აპარატი: ამართქლებელი, ამომხაპი, გამომბერტყი, მამდიდრებელი, მარეგისტრირებელი, შემართველი, ამწყობი...

აპარატურა: დამხმარე, მანაწილებელი, მადლიერებელი...

ბლოკი: ამომხსნელი, ამწევი, დამხსომებელი, მავალებელი, მმართველი...

ვენტილაცია: გამწოვი, დამხმარე...

კოჭი: დამჭერი, მიმმართველი, წამტაცი, შემგვრელი...

ლილვი: ამყოლი, ამძრავი...

მანქანა: გამომთვლელი...

ნივთიერება: გამაპასივებელი, გამაუფერულებელი, გამბერი, განმლექი, დამცავი, მაცემენტებელი, მომწამლავი, მწებავი...

სიდიდე: მარეგულირებელი, მაშედლებელი...

ჩანგალი: ამომართველი, გადაამყვანი, დამტვირთავი...

ძალა: მაბრუნე, მამომძრავებელი, მაჩქარებელი, შემწოვი...

ჭანჭიკი: განმბრჯენი, დამჭიმი, ჩამკეტი, მცველი...

ხვი: განმამაგნიტებელი...

ხრახნი: მათანაბრებელი, მაფიქსირებელი, მომჭერი, შემზღულ-ველი...

2. მ ა ნ ქ ა ნ ა - ი ა რ ა დ ე ბ ი ს ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ე ბ ა დ: ამწე, გამაძლიერებელი, გამთბობი, გამმართველი, მაალებელი, მაჩვენებელი, მაცივარი, შემწავებელი, შემრევი, შემწხაპუნებელი, ჩამრთველი...

გვხვდება - ა სუფიქსით გართულებული ფუძეებიც: მქნევარა, მკვეთარა...

ძალიან გაგრძელებულია ამ ტიპის მიმღობიანი კომპოზიტები, როცა პირველ წევრად გამოყენებულია სათანადო ზმნის ობიექტი: ალფაწარმომქმნელი, ალფაგამომსხივარი, ბენზინმაჩვენებელი, ბეტონმანაწილებელი, ბლოკამწყობი, დუღაბშემრევი, ვიდეომაძლიერებელი, ტალღამტეხი, ტალღაჩამწერი, ტენდამცავი, ძნამიმწოდი, წყალგამყოფი, წყალშემთბობი, ჰაერმიმმართველი...

აქ ჩვენ მხოლოდ გასუბსტანტივებული ფორმები დავასახელებთ, ცხადია, ჩვეულებრივია მათი ძირითადი ფუნქციით, ზედსართავად გამოყენებაც: ბგერათჩამწერი დოლოი, ბომბდამშენი ავიაცია, ნიადაგჩამჭიდი აპარატი, ორთქლწარმომქმნელი ნივთიერება, რადიოგადამცემი აპარატურა, ტვირთამწევი ბლოკი, წუნმდებელი ავტომატი, წყალმიმღები კოშკი, ჭავშანგამტანი ტყვია, ჰაერმანაწილებელი კოლოფი...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომპოზიტის პირველ წევრად ავტოდა თვით- უფრო გაგრძელებულია სასუბიექტო მიმღობის ფორმებთან: ავტოამწყობი, ავტოდაამწყობი//თვითდამწყობი, ავტომიმწოდი//თვითიმმწოდი, თვითმასწავლებელი, თვითმზიდი, თვითმსსლექტი, თვითმფრინავი, თვითმწერი.

თვითსაცლელი ავტომობილის ნაცვლად დღეს ჩვეულებრივ იხმარება თვითმცლელი ავტომობილი, ტექნიკური ტერმინოლოგიის ახალ გამოცემაში თვითსაყრელი სამკალი გასწორდა თვითმყრელ სამკალად.

ამ ტიპის კომპოზიტები იხმარება აგრეთვე ატრიბუტივის ფუნქციითაც; მაგალითად, გვაქვს: თვითაღმდგენი ამომრთველი, თვითმავალი ამწე, კომბაინი... თვითმასწავლი მანქანა, თვითმოქმედი ფრქვევანა, თვითმოძრავი ეკიპაჟი, თვითმწერი ბარომეტრი, თვითშემწოვი ტუმბო, თვითჩამწერი აპარატი, თვითწარმომქმნელი მანქანები...

რა მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით ტექნიკური ტერმინოლოგიის ადრინდელ გამოცემებში? 1920 წელს გამოცემულ ტერმინოლოგიაში უპირატესობა ეძლეოდა მა- თავსართიან წარმოებას: ამყვა-

ნი (ლიფტი), გარდამქმნი, გადამსახნი, გამომჩენი, დამჟანგი, მადიდა (ლუბა), მაპკურა (პულვერიზატორი), მასხვივარი (რადიატორი), მაშუქა (ფარანი), მაცივარი, მქნევარი, შუქმტყორცნი (პროექტორი), ელმაჩენი (ელექტროსკოპი), მაგუზარი (აკუმულატორი), მაფეთქი...

შედარებით ნაკლებად გვხვდება სა- თავსართიანი წარმოება ამ ფუნქციით: სარევი, წყალსაზომი, მიწსაზელი ქმოსი (მანქანა), საბურღი დაზგა...

რამდენიმე შემთხვევა დადასტურდა, როცა ერთი მნიშვნელობით ორივე წარმოებაა გამოყენებული: დამყენი//საყენი, მაუწყი//საუწყი (უწყება).

მომდევნო, 1935 წლის გამოცემაში მა- თავსართიანი წარმოება გასწორდა სა- თავსართიან წარმოებად:

მადული	—	სადული
მადულარი	—	სადულარი
მსხვრეველა	—	სამსხვრეველა
მამაგრი	—	სამაგრი
გამომშვები	—	გამოსაშვები
ქვემბერი	—	ქვესაბერი

1957 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში სპეციალურად აღნიშნულია: „მიმღობის მაწარმოებელი სა- და მა- პრეფიქსების თვალსაზრისით ახალი ლექსიკონი უფრო თანმიმდევრულად აგრძელებს სა- პრეფისის უპირატესი ხმარების ტრადიციას, რაც პირველ გამოცემაშივე იგრძნობოდა. მაგალითად, ლითონსაჭრელი იარაღი და არა ლითონმჭრელი (მჭრელი იქნებოდა ლითონსაჭრელი იარაღის პირი, გალესილი), მანქანათსაშენებელი ქარხანა და არა მანქანათმშენებელი (მშენებელი კაცია), ასევე სათანაბრებელი, სასწორებელი და სხვა. მა- პრეფიქსი დატოვებულია იმ შემთხვევაში, როდესაც ტერმინი დანერგულია ამ სახით“². ამ რიგის გასწორებები: გამომჩენი — სამულავნი, მაპკურა — საპკური, წყალჩამდენი — წყალჩასადინარი...

ამ ჩარევის მიუხედავად, დღეს ამკარაა მა- თავსართიანი წარმოების მოძალეობა. და რომ ეს საკუთრივ ახალი ქართულისეული მოვლენა არაა, ამას ძველი ქართულის ზოგი მაგალითი უნდა მოწმობდეს.

ძველ ქართულში იარაღების სახელებად სა- თავსართიანი წარმოებაა გავრცელებული უპირატესად. გვაქვს სარეველი, საყვნველი... მაგრამ, როგორც ირკვევა, არც სასუბიექტო მიმღობის ფორმებია

² ტექნიკური ტერმინოლოგია, 1957, გვ. 06.

უცხო ამ მნიშვნელობით. მაგ., მფქველი არის არა მარტო ის, ვინც ფქვეს, არამედ, აგრეთვე „წისქვილი, წისქვილის ქვა, ხელსაფქვავე“³ (ფქვიან მფქველითა. — რიცხ. 11,8; Ph); **მავლებელი** „ავშარა, ლავამი“ (მავლებელი ეტლთა მათთან. — ნაუმ. 2,3) ეტიმოლოგიურად ვალ-ს ზმნის კაუზატივის ფორმის სასუბიექტო მიმღობა ჩანს.

მაგრილობელი „გრილი, საჩრდილობელი“. შთამოქსნოდინ კრეტსაბმელსა მაგრილობელსა. რიცხ. 4,5).

მავნებელი, მარგებელი (ესე სიტყუა მავნებელ არს შენდა და არა მარგებელ. — Sin. 11,31r; არა მოვიგოთ ოქროდ მავნებელი, არამედ წიგნი მარგებელი სულთა ჩუენთანი. — მამ. სწ. 76,8). (შღრ. სავსე არს სარგებელითა, ხოლო შინაგან... სავნებელი. A—35, 118r; განსწმიდენ გონებასა მსმენელთასა სარგებელითა სწავლითა. — ფილეტ. 143,22).

მაკუდინებელი „სასიკვდილო, სიკვდილის მომტანი“ (შეპრიან მას წამალი მაკუდინებელი. — მამ. სწ. 277,24).

ამავე ფუნქციის მათვსართი უნდა გვქონდეს სიტყვაში **მანჭული** („ჩასაყარი ლუსმარი“ — საბა); ეტიმოლოგიურად სასუბიექტო მიმღობის ფორმებს წარმოადგენს **მთიები** (ცისკრის ვარსკვლავი), **მთოვარე**⁴; შესაძლოა ფარავს ზმნის სასუბიექტო მიმღობის ფორმა იყოს **მაფორი** „სამოსელი წარმოსასხამი“ (ვირი არს მაფორი ისი სადედოჲ, რომელი ჰვიდავს. — მამ. ცხ. 162r); (შღრ. პირის-საფარველი).

ახალი ქართული ენის კვეთი (დვრიტა) უნდა მომდინარეობდეს **მკუეთი** („გამკვეთი“ — საბა) ფორმიდან და, ამდენად, აქაც სასუბიექტო მიმღობის გამოყენებასთან უნდა გვქონდეს საქმე. საბასთან დადასტურებული **სამკუეთო** („ყველის შესადედებელი“) გვიანდელი ფორმა ჩანს, სხვა **სა-** თავსართიან სახელთა ანალოგიით გაჩენილი.

განხილული მასალა საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პირობებში მანქანა-იარაღები გაიზარება როგორც მოქმედი, სათანადო ზმნის სუბიექტი და ამიტომ სასუბიექტო მიმღობის ფორმების გავრცელება მანქანა-იარაღების სახელებად სალიტერატურო ქართულში სავსებით ბუნებრივი პროცესი ჩანს.

³ აქაც და ქვემოთაც მაგალითები მოგვყავს ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონიდან“, „მეცნიერება“, 1973.

⁴ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძველები, 1953, გვ. 601.